

ფონდის შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვაციური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის მეცნიერული კვლევების განვითარებასა და საქართველოს მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა ინტეგრირებას საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში.

ფონდის ძირითადი მიზნებია: სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესება, სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა და მეცნიერების პოპულარიზაცია.

ფონდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ მყოფი ავტონომიური ორგანიზაციაა. ფონდის საქმიანობა მიმართულია მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებისკენ.

ძირითადი მიზნების განსახორციელებლად ფონდი ადმინისტრირებას უწევს 27 საგრანტო და 2 საერთაშორისო მიზნობრივ პროგრამას: 19 - ეროვნულ, 6 საერთაშორისო ბილათერალურ პროგრამასა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების ფარგლებში 3 მულტილატერალურ პროექტს.

2015 წლის ივლისიდან ფონდს მართავს საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭო, რომელშიც შედიან მსოფლიოში გამოჩენილი უცხოელი და ქართველი მეცნიერები და საქართველოს მთავრობის წევრები. საბჭო პასუხისმგებელია ფონდის სტრატეგიული გეგმის

შემუშავებასა და სამოქმედო გეგმის განხორციელების კონტროლზე.

ფონდის 2016 წლის ბიუჯეტია 32 404 300 ლარი.

ფონდის სტრუქტურა: 3 დეპარტამენტი და 5 სამსახური, 40 სამტატო და 7 შტატგარეშე თანამშრომელი. ფონდის ადმინისტრირებაზე იხარჯება მთლიანი ბიუჯეტის 4.95%.

ფონდის საკონკურსო პროექტებს აფასებენ საერთაშორისო და ადგილობრივი დამოუკიდებელი ექსპერტები. კვლევითი პროგრამების პროექტების შეფასების მიზნით ფონდი თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო - კვლევითი სააგენტოებისა და ფონდების ექსპერტებთან.

ფონდი აფინანსებს საგრანტო პროექტებს ევროსტატისა (EUROSTAT) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის მიხედვით:

1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები;
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები.

ფონდმა პრიორიტეტული მიმართულების სახით განსაზღვრა **საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები**. 2016 წელს საქართველოს შემსწავლელი მეცნიერების წილმა შეადგინა 2 598 234 ლარი.

ფონდი აფინანსებს:

- საუკეთესო ხარისხის ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს;
- საერთაშორისო ერთობლივ კვლევებს;
- საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებათა პოპულარიზაციას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში;
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებასა და საერთაშორისო თანამშრომლობას;
- ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სამეცნიერო დარგების (STEM) გრძელვადიან, მიზნობრივ პროექტებს, აგრეთვე ინტერდისციპლინურ კვლევებს;
- საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის მეცნიერთა მობილობას;
- კვლევებსა და ინოვაციურ პროექტებს მოსწავლეთა მონაწილეობით;
- სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საერთაშორისო ბაზებზე წვდომის უზრუნველყოფას.

საერთაშორისო თანამშრომლობა:

- ბილატერალური პროგრამები სამეცნიერო ფონდებთან და ცენტრებთან (იტალია, საფრანგეთი, უკრაინა, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, თურქეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი);
- საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტები (CERN - ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია, JINR - ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტი, ISTC - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ცენტრი, ELSEVIER - ელექტრონული სამეცნიერო გამომცემლობა, STCU - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი უკრაინაში);

- ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების მულტილატერალური პროექტები (FP7 IncoNet EaP; H2020 Black Sea Horizon, IncoNet EaP +);
- ფონდის თანამშრომლები არიან ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ეროვნული საკონტაქტო პირები (NCP);
- მეცნიერების მენეჯმენტისა და საკონკურსო განაცხადების შეფასების მიმართულებით თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ფონდებთან (NSF) და სააგენტოებთან (CRDF Global, ORAU).

მეცნიერთათვის ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები:

- ხელმისაწვდომობა “ჰორიზონტი 2020”-ის პროგრამებზე;
- ინოვაციები და განვითარება;
- ტექნოლოგიების ტრანსფერისა და კვლევის კომერციალიზაციის შესაძლებლობა გამოყენებით კვლევებში;
- გრძელვადიანი, ინტერდისციპლინური კვლევები;
- ინტერ-ინსტიტუციური და საერთაშორისო თანამშრომლობა;
- ახალი ერთობლივი პროგრამები გერმანიის (DAAD, VW), იაპონიის (JSPC) ფონდებთან.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2016 წელს განხორციელებული კონკურსები და პროგრამები

2016 წელს ფონდმა ადმინისტრირება გაუწია 21 საგრანტო და მიზნობრივ პროგრამას, აქედან 16 - ეროვნულ, 5 საერთაშორისო ბილატერალურ პროგრამასა და ევროკავშირის ჩარჩო პროგრამების ფარგლებში 3 მულტი-ლატერალურ პროექტს.

კონკურსები გამოცხადდა შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებში:

- 1. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა:** ფუნდამენტური კვლევები; გამოყენებითი კვლევები; კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით.
- 2. ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა:** ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები; ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირება უცხოეთში; დოქტორანტების გრანტები; სამაგისტრო კვლევების გრანტები; სეზონური სკოლების გრანტები; სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.
- 3. მობილობა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა:** ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტები; საკონფერენციო გრანტები.
- 4. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა:** უცხო-

ეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა; საქართველოს შემსწავლელი კვლევების მიზნობრივი კონფერენციები.

- 5. საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა:** JUELICH CENTER, OXFORD, CNRS, STCU, TUBITAK და ევროკავშირის მულტი-ლატერალური პროგრამები (FP7 IncoNet EaP; H2020-Black Sea Horizon; EAP PLUS).
- 6. სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება:** ELSEVIER BV, Scopus ელექტრონული ჟურნალების ბაზაზე წვდომა სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და კვლევითი ინსტიტუტებისთვის, ცენტრებისთვის; 2016 წლიდან ELSEVIER-ის ბაზაში 2 ქართული ელექტრონული ჟურნალი განთავსდა - Annals of Agrarian Science და Transactions of Andria Razmadze Mathematical Institute
- 7. მეცნიერების პოპულარიზაცია:** მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა პროგრამა „ლეონარდო და ვინჩი“; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის; საერთაშორისო ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა (შერჩევითი ტურებისა და გადაზიდვის/ტრენინგების აქტივობები).

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროგრამებისა და კონკურსების აბრევიატურების განმარტება

პროგრამების აბრევიატურები	პროგრამები
FR	ფუნდამენტური კვლევები
AR	გამოყენებითი კვლევები
DI	კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით
YS	ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები
MR	სამაგისტრო კვლევების გრანტები
PhD F	დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი
IG	ახალგაზრდა მეცნიერთა სტაჟირება უცხოეთში
SS	სეზონური სკოლების გრანტები
PhD P	სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი
GEO CONF	საქართველოს შემსწავლელი კვლევების მიზნობრივი კონფერენციები
OXFOR GSP	უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა
TG	სამოგზაურო გრანტები
CONF G	საკონფერენციო გრანტები
STCU	უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრი
Juelich Center - MA, PhD	გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრი
CNRS PICS	საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი
TUBITAK	თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭო
AAwards	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის
LEO	მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა პროგრამა „ლეონარდო და ვინჩი“
CERN	ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია
DUBNA	ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი

ფონდის 2016 წლის პროგრამული ხარჯები და წარმატების ინდექსი კონკურსების მიხედვით

#	პროგრამები	2016 წლის ბიუჯეტი	2016 წლის დამტკიცებული პროექტების სრული ბიუჯეტები	2016 წლის გადარიცხვა	შემოსული პროექტების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა	წარმატების ხარისხი %
1 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამები:							
1.1	FR	2,664,660	14,639,172	2,662,163	472	86	18.2%
1.2	AR	1,473,300	5,945,686	1,473,221	129	26	20.2%
1.3	DI	771,602	2,250,273	771,602	38	12	31.6%
ჯამი (1)		4,909,562	22,835,131	4,906,986	639	124	19.4%
2 ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა:							
2.1	YS	390,000	1,441,409	379,746	98	26	26.5%
2.2	MR	245,531	306,913	245,531	134	58	43.3%
2.3	PhD F	747,000	2,044,000	746,284	238	76	31.9%
2.4	IG	420,000	484,593	408,243	55	30	54.5%
2.5	SS	500,000	496,915	472,805	53	13	24.5%
2.6	PhD P	500,000	1,746,463	212,282	18	8	44.5%
ჯამი (2)		2,802,531	6,520,293	2,464,891	596	211	35.4%
3 საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობის პროგრამები:							
3.1	GEO CONF	40,000	39,850	37,100	2	1	50.0%
3.2	OXFOR GSP	179,940	174,768	174,768	13	2	15.4%
ჯამი (3)		219,940	214,618	211,868	15	3	20.0%
4 მობილობა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა							
4.1	TG	445,000	449,803	411,531	304	130	42.8%
4.2	CONF G	360,000	359,950	332,525	83	11	13.3%
ჯამი (4)		805,000	809,804	744,056	387	141	36.4%
5 ერთობლივი კონკურსები/პროგრამები ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში							
5.1	STCU (2015წ.)	560,558	980,944	560,221	83	11	13.25%
5.2	Juelich Center-MA, PhD	20,200	94,732	20,116	2	2	100.00%
5.3	CNRS PICS (2015წ.)	26,857	80,571	26,857	2	1	50.00%
ჯამი (5)		607,615	1,156,247	607,194	87	14	16.1%
6 მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამები:							
6.1	AA	20,000	20,000	20,000	68	4	5.88%
6.2	LEO	17,469	12,970	12,970	42	4	9.5%
ჯამი (6)		37,469	32,970	32,970	110	8	7.3%
ჯამი (პროგრამების ხარჯები)		9,382,117	31,567,063	8,967,965	1,834	501	27.3%

ფონდის 2016 წლის მიმდინარე კონკურსები, რომელთა შედეგები ცნობილი გახდება 2017 წელს

#	პროგრამები	2017 წლის ბიუჯეტი	შემოსული პროექტების რაოდენობა	შუალედური შედეგები
1	STCU	600000	62	მეორე ეტაპზე გავიდა 25
2	TUBITAK (Turkey)	65,000	23	მეორე ეტაპზე გავიდა 7
3	CNRS PICS (France)	53000	4	მიმდინარეობს შეფასება
ჯამი:		718,000	89	

სამეცნიერო - საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება

#	საერთაშორისო გადასახადები	2016 წლის ბიუჯეტი	2016 წლის გადარიცხვა
1	<i>სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა</i>		
1.1	ELSEVIER - მონაცემთა ბაზა	656,500	637,091
1.2	ELSEVIER - ის ბაზაზე 2 ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა	343,700	343,642
ჯამი		1,000,200	980,734
2	<i>გადასახადები საერთაშორისო ინსტიტუტებში/ცენტრებში</i>		
2.1	CERN- ატომური კვლევების ევროპული ორგანიზაცია	358,000	355,011
2.2	DUBNA - ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი	916,000	913,999
2.3	HORIZON 2020 - საწევრო გადასახადი	3,840,000	3,548,976
ჯამი		5,114,000	4,817,985

2016 წლის ფონდის საგრანტო კონკურსების ადმინისტრირება: ექსპერტიზა და ეფექტიანობის შეფასება



#	ხარჯის სახეობა	2016 წლის ბიუჯეტი	2016 წელს გაწეული ხარჯი
1	პროექტების ექსპერტიზა ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება)	76,250	70,470
2	პროექტების ექსპერტიზა საერთაშორისო ორგანიზაციების/ექსპერტების მონაწილეობით (FR;AR;DI;YS)	766,000	765,829
3	პროექტების შედეგებისა და ეფექტიანობის შეფასება	30,550	30,507
ჯამი (ადმინისტრირება/ექსპერტიზა):		872,800	866,806

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის

კონკურსის მიზანია: საქართველოს და საერთაშორისო მკვლევართა წახალისება მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ჩართულობისთვის; აგრეთვე, განსაკუთრებული მიღწევების დაფასებისათვის, საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს შესახებ კვლევების წახალისებისა და პოპულარიზაციისათვის.

ჯილდო მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში განსაკუთრებული მიღწევებისა და წვლილისათვის დაწესდა ოთხ ნომინაციაში:

1. ქართველოლოგიის დარგში მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერი;
 2. საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი;
 3. საუკეთესო მეცნიერი;
 4. საუკეთესო სამეცნიერო კვლევითი ჯგუფი.
- კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - 20 000 ლ.
 - დარეგისტრირდა - 68 განაცხადი;
 - დაფინანსდა - 4 პროექტი, 7 მეცნიერი.




ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია: ახალი ცოდნის შექმნა, ახალი იდეებისა და კონცეფციების, მოვლენებისა და ფაქტების, თეორიებისა და მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს.


სამიზნე ჯგუფები: უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 14 639 172 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 2 662 163 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 472 პროექტი
- დაფინანსდა - 86 პროექტი, 392 მეცნიერი
- პროექტების ხანგრძლივობა - 12-36 თვე
- განხორციელების პერიოდი - 15/01/2017-15/01/2020


დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა გენდერული განაწილება




ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით




პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა ასაკობრივი მონაცემები



ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი

დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი


კონკურსის მიზანია გამოყენებითი მეცნიერებების სფეროში საქართველოში არსებული პოტენციალის გამოვლენა და ინოვაციური სამეცნიერო პროექტების დაფინანსება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინოვაციური კვლევების გამოვლენას, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე მოთხოვნა ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე და პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. გათვალისწინებულია კვლევის შედეგების გამოყენების რეალურობა და მდგრადობა. ასევე, მომავალში მათი კომერციალიზაციის პოტენციალი. სამიზნე ჯგუფები: უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 5 945 686 ლ.
- დამტკიცებული პროექტების 2016 წლის ბიუჯეტი - 1 473 221 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 129 პროექტი
- დაფინანსდა - 26 პროექტი, 142 მეცნიერი
- პროექტების ხანგრძლივობა - 12-24 თვე
- განხორციელების პერიოდი - 1/01/2017-1/01/2019


დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




ძირითადი პერსონალი აკადემიური ხარისხის მიხედვით




გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით




დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




გამოყენებითი კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

გრანტის მიმღები ძირითადი პერსონალის ასაკობრივი მონაცემები



გრანტის მიმღები ძირითადი პერსონალის გენდერული განაწილება




უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი

კონკურსის მიზანია: უცხოეთის სამეცნიერო - კვლევით ცენტრებში, კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობების დამყარება, მათი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ეროვნულ კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვება.


- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 2 250 273 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 771 602 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 38 პროექტი;
- დაფინანსდა - 12 პროექტი, 67 მეცნიერი
- პროექტების ხანგრძლივობა - 24-36 თვე;
- განხორციელების პერიოდი - 1.01.2017-1/01/2020

დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი


პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




პროექტებში მონაწილეთა განაწილება აკადემიური ხარისხის მიხედვით




საგრანტო პროექტებში მონაწილეთა ასაკობრივი მონაცემები



პროექტებში მონაწილეთა გენდერული განაწილება




გამარჯვებულ პროექტებში საერთაშორისო მოხილობა ქვეყნების მიხედვით




უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი

გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტების კონკურსი


კონკურსის მიზანია: ნიჭიერი, ახალგაზრდა მეცნიერების გამოვლენა და წახალისება ღია კონკურსის საფუძველზე, ინდივიდუალური ინოვაციური კვლევითი პროექტების დაფინანსების გზით, ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მხარდაჭერით კვლევების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა, კვლევითი უნარ-ჩვევებისა და თემატური, ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავება, მკვლევართა ახალგაზრდა თაობის განვითარება და ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა. აგრეთვე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერება და გაუმჯობესება.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 1 441 409 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 379 746 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 98 პროექტი
- დაფინანსდა - 26 პროექტი, 26 მეცნიერი
- პროექტების ხანგრძლივობა -24 თვე
- განხორციელების პერიოდი - 05/01/2017-05/01/2019


პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




გრანტის მიმღებთა ასაკობრივი მონაცემები




ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტების კონკურსი

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი


კონკურსის მიზანია: დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადება, უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა, დოქტორანტებისა და უნივერსიტეტების, უცხოეთში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, თანამშრომლობა და ამ გზით, საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 2 044 000 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 746 284 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 238 პროექტი
- დაფინანსდა - 76 პროექტი, 76 მეცნიერი
- პროექტების ხანგრძლივობა - 6-36 თვე
- განხორციელების პერიოდი - 1.01.2017-1.01.2020


დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




გრანტის მიმღებთა ასაკობრივი მონაცემები



დაფინანსების განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით




გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით








დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი


კონკურსის მიზანია: წამყვან უცხოურ კვლევით ორგანიზაციებში, საერთაშორისო კვლევით ცენტრებში და უნივერსიტეტებში ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების დაფინანსება, ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიული ზრდის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, მეცნიერისა და მკვლევარის უნარების განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ინტეგრირება, სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კვლევით ასპარეზზე გასვლის ხელშეწყობა.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 484 593 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 408 243 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 55 პროექტი
- დაფინანსდა - 30 პროექტი, 30 მეცნიერი
- პროექტების ხანგრძლივობა - 2-8 თვე
- განხორციელების პერიოდი - 10.01.2016-11.01.2017




ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

გამარჯვებულ პროექტებში საერთაშორისო თანამშრომლობა ქვეყნების მიხედვით




სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის და სტუდენტებისთვის სამეცნიერო სეზონური სკოლების/ბანაკების ორგანიზება და არსებულ სეზონურ სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობა; ქართული მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ახალი კადრების მეცნიერებაში მოზიდვა, ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლება, კვლევის მეთოდებში ტრენინგის, ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება; საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება.


- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 496 915 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 472 805 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 53 პროექტი
- დაფინანსდა - 13 პროექტი, 132 მეცნიერი
- განხორციელების პერიოდი - 31.05.2016-31.05.2017

დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი


პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით



საგრანტო პროექტებში მინაწილეთა განაწილება გენდერის მიხედვით



გამარჯვებულ პროექტებში საერთაშორისო მობილობა ქვეყნების მიხედვით




სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი

გამარჯვებული პროექტების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი

კონკურსის მიზანია: მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა. ასევე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესების, სწავლის პროცესში კვლევის ინტეგრაციისა და თემატური და/ან ინტერდისციპლინური მიმართულებით კვლევითი აქტივობის განვითარების ხელშეწყობა.


- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 306 913
- 2016 წლის ბიუჯეტი - 245 531
- დარეგისტრირდა - 134 განაცხადი;
- დაფინანსდა - 58 პროექტი;
- პროექტების ხანგრძლივობა - 4-10 თვე
- განხორციელების პერიოდი - 01/01/2017-31/12/2017

პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ინჟინერია და ტექნოლოგიები
- მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები
- აგრარული მეცნიერებები
- სოციალური მეცნიერებები
- ჰუმანიტარული მეცნიერებები
- საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

გრანტების განაწილება გენდერის მიხედვით




დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ინჟინერია და ტექნოლოგიები
- მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები
- აგრარული მეცნიერებები
- სოციალური მეცნიერებები
- ჰუმანიტარული მეცნიერებები
- საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი


კონკურსის მიზანია: არსებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და ახალი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ახალი სამეცნიერო კადრების მომზადებას არსებულ სამეცნიერო პოტენციალზე დაყრდნობით, ინტერდისციპლინარული სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების გზით.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 1 746 262 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 4 299 936 ლ.
- დარეგისტრირდა - 18 პროექტი;
- დაფინანსდა - 8 პროექტი, 8 მეცნიერი
- განხორციელების პერიოდი - 15/12/2016-15/12/2020


დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით



პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა გენდერული განაწილება




პროექტებში სამეცნიერო ხელმძღვანელთა ასაკობრივი მონაცემები




სტრუქტურირებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსი

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით



დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით




საქართველოს შემსწავლელი კვლევების მიზნობრივი კონფერენციები


კონკურსის მიზანია: ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციების დაფინანსება საქართველოს შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაციისა და საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე წარდგენისათვის, საქართველოს შემსწავლელი მიმართულებების განვითარება და კვლევების საერთაშორისო სტანდარტებით განხორციელება. საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დაინტერესების ზრდა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციის მიმართ და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინტერდისციპლინური კვლევების წახალისება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და კვლევით პროექტებში ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვა.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 39 850 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 37 100 ლ.
- დარეგისტრირდა - 2 პროექტი;
- დაფინანსდა - 1 პროექტი, 8 მეცნიერი
- განხორციელების პერიოდი - 1/09/2016 - 31/12/2016


გრანტის მიმღებთა ასაკობრივი მონაცემები



პროექტებში მონაწილეთა განაწილება აკადემიური ხარისხის მიხედვით





საგრანტო პროექტში მონაწილეთა განაწილება გენდერის მიხედვით



უცხოეთში საქართველოს შესწავლის ცენტრებისა და პროგრამების ხელშეწყობა

ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის მიზანია საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე; ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, კულტურის, დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში; საქართველოსა და რეგიონის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების გამოყენებით თანამშრომლური კონტაქტებისა და კვლევითი კონსორციუმების ჩამოყალიბება, მრავალმხრივი, მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 174 768 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 174 768 ლ.
- დარეგისტრირდა: 13 განაცხადი
- დაფინანსდა: 2 პროექტი
- პროექტების ხანგრძლივობაა 12 თვე
- განხორციელების პერიოდი -10/ 01/2017 - 10/01/2018




მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი


საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, რათა ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილების გაზიარების შედეგად გააძლიეროს ადგილობრივი სამეცნიერო პოტენციალი და დაეხმაროს საქართველოს მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ინტეგრაციას.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 447 854 ლ.
- დამტკიცებული პროექტების 2016 წლის ბიუჯეტი - 411 531 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 304 პროექტი
- დაფინანსდა - 130 პროექტი, 130 მეცნიერი
- განხორციელების პერიოდი - 15.03.2016-15.03.2017


საგრანტო პროექტებში მონაწილეთა ასაკობრივი მონაცემები



დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




პროექტების დაფინანსების მიმართულებების მიხედვით




მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

გამარჯვებულ პროექტებში მობილობა ქვეყნების მიხედვით




მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

გრანტის მიმღებთა განაწილება გენდერის მიხედვით



პროექტებში მონაწილეთა განაწილება აკადემიური ხარისხის მიხედვით




საკონფერენციო გრანტების კონკურსი

საგრანტო კონკურსის მიზანია: საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების დაფინანსება, სამეცნიერო კვლევების შედეგების გაზიარების და ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ქართლი სამეცნიერო საზოგადოების საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების ხელშეწყობა, საქართველოში მაღალი დონის, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 359 950 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 332 525 ლ.
- კონკურსზე დარეგისტრირდა - 82 პროექტი
- დაფინანსდა - 11 პროექტი, 37 მეცნიერი
- განხორციელების პერიოდი - 10.04.2016-10.04.2017


დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



- საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი
- ინჟინერია და ტექნოლოგიები
- მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი
- აგრარული მეცნიერებები
- სოციალური მეცნიერებები
- ჰუმანიტარული მეცნიერებები


საკონფერენციო გრანტების კონკურსი

პროექტების დაფინანსების განაწილება მიმართულებების მიხედვით




- საზუნებისმეტყველო მეცნიერებანი
- ინჟინერია და ტექნოლოგიები
- მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი
- აგრარული მეცნიერებები
- სოციალური მეცნიერებები
- ჰუმანიტარული მეცნიერებები

საგრანტო პროექტებში მონაწილე ძირითადი პერსონალის გენდერული მაჩვენებელი




საგრანტო პროექტებში მონაწილეთა ასაკობრივი მონაცემები




საკონფერენციო გრანტების კონკურსი

გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით




დაფინანსების განაწილება ინსტიტუციების მიხედვით



საკონფერენციო გრანტების კონკურსი

გამარჯვებულ პროექტებში საერთაშორისო მობილობა ქვეყნების მიხედვით



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იულისის კვლევითი ცენტრის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის

პროგრამის მიზანია შესაძლებლობა მისცეს სააქართველოს სტუდენტებს შეასრულონ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომთან დაკავშირებული კვლევები, როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებითი მიმართულებით, მსოფლიოში ცნობილ, იულისის კვლევითი ცენტრის ბაზაზე. ამასთან, პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანულ მხარეს, მიიზიდოს საქართველოს უნივერსიტეტებიდან საუკეთესო სტუდენტები და ჩართოს ისინი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამების ფარგლებში მიმდინარე სამეცნიერო საქმიანობაში.

- დამტკიცებული პროექტების 2016 წლის ბიუჯეტი - MA და DO - 20 116 ლ.
- ორივე კონკურსში დაფინანსებული პროექტების საერთო ბიუჯეტი - MA და DO - 94 732 ლ.
- დარეგისტრირდა - 2 პროექტი
- ორივე კონკურსზე დაფინანსდა - 2 პროექტი
- დაფინანსებული მეცნიერების რაოდენობა - 2
- პროექტების ხანგრძლივობა - MA - 4-8 თვე და DO - 6-36 თვე
- განხორციელების პერიოდი - MA - 01/11/2016 - 01/07/2017 და DO - 01/02/2017-31/01/2020




შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსი

კონკურსის მიზანია სამეცნიერო პროექტების შერჩევა და დაფინანსება შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და უკრაინაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრს (STCU) შორის შეთანხმებული შემდეგი პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებებიდან:


- ა) ბიოტექნოლოგიები და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
- ბ) ახალი მასალები და ნანოტექნოლოგიები;
- გ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 980 944 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 369 827 ლ.
- ბიუჯეტის 50%-ის დაფინანსებას უზრუნველყოფს ფონდი, 50%-ს - STCU.
- კონკურსში მონაწილე პროექტების რაოდენობა - 83
- დაფინანსდა - 11 პროექტი, 72 მეცნიერი
- პროექტის ხანგრძლივობა - 12-24 თვე
- განხორციელების პერიოდი - 01/04/2016-01/04/2018



დაფინანსებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით



გამარჯვებული პროექტები ინსტიტუციების მიხედვით



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსი



2016 წელს გამოცხადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, რომლის შედეგებიც თებერვალში გახდება ცნობილი. დარეგისტრირდა - 62 პროექტი და მეორე ეტაპზე გადავიდა 25 პროექტი.



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო 2015 წლის საგრანტო კონკურსი „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“ (PICS)

კონკურსის მიზანია: მეცნიერების სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება – გაფართოვება და საქართველოს მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ამაღლება, ახალგაზრდა მეცნიერთა ერთობლივ კვლევებში აქტიური ჩართვა და ევროპულ სამეცნიერო-კვლევით სივრცეში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა, საქართველოს კვლევის ინტერნაციონალიზაცია საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფებთან მჭიდრო პარტნიორობის დამყარების გზით.



- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 80 571 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 26 857 ლ.
- დარეგისტრირდა - 2 პროექტი
- დაფინანსდა - 1 პროექტი, 2 მეცნიერი
- პროექტის ხანგრძლივობა - 36 თვემდე;
- განხორციელების პერიოდი - 01/03/2016-31/12/2018

2016 წელს გამოცხადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსი „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტი“ (PICS). კონკურსის შედეგები ცნობილი გახდება 2017 წლის თებერვალში. დარეგისტრირდა - 4 პროექტი და მიმდინარეობს შეფასება.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოს (TUBITAK) ერთობლივი 2016 წლის სამეცნიერო საგრანტო კონკურსი

კონკურსის მიზანია მეცნიერების სფეროში საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების მეცნიერთა ჯგუფებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ორი ქვეყნის მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი მობილობისა და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების გზით.

კონკურსი ითვალისწინებს საგრანტო დაფინანსებას: ერთობლივი კვლევითი პროექტების განსახორციელებლად და მეცნიერთა მოკლევადიანი სამეცნიერო-კვლევითი გაცვლითი ვიზიტების განსახორციელებლად.

გამოვლინდა საუკეთესო პროექტები და გადაეგზავნა თურქულ მხარეს დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების რაოდენობის შეჯერებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. კონკურსის შედეგები ცნობილი იქნება 2017 წლის აპრილში.



- 2017 წლის ბიუჯეტი - 52 000 ლ.
- დარეგისტრირდა - 23 პროექტი
- მეორე ეტაპზე გადავიდა 7 პროექტი
- ერთობლივი პროექტების ხანგრძლივობა - 24 თვე
- ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა - 10 დღემდე.

საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი პროგრამები ქართველი მეცნიერებისათვის (CERN, DUBNA)

პროგრამის მიზანია ბირთვული კვლევის ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN) და ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით (JINR DUBNA), ჩარჩო ხელშეკრულებების ფარგლებში შესაძლებლობა მიეცეს საქართველოს მოწინავე მეცნიერებს - ფიზიკოსებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო თანამედროვე კვლევით პროექტებში და გააღრმავონ სამეცნიერო - ტექნიკური ურთიერთობები. მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ მკვლევარები თანამშრომლობის შედეგებს გამოიყენებენ მხოლოდ არასამხედრო დანიშნულებით. აღნიშნული ცენტრების საერთაშორისო პროექტებში საქართველოს მეცნიერთა ჩართვა შესაძლებელი იქნება ადამიანური რესურსების გაზიარებით, აგრეთვე CERN-ისა და JINR-ის ცენტრებში კვლევისათვის საჭირო ტექნოლოგიებზე, აღჭურვილობაზე, მასალებსა და ინფრასტრუქტურაზე კონკურსის საფუძველზე შერჩეულ მეცნიერთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით.

2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საწევროს სახით გადაიხადა: ბირთვული კვლევის ევროპულ ორგანიზაციაში 355 011 ლარი და ბირთვული კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტში 913 999 ლ.





IncoNet EaP

ფონდი ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების 18 ორგანიზაციასთან ერთად, მონაწილეობს ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვედით ჩარჩო პროგრამით (FP7) დაფინანსებულ პროექტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი” - IncoNet EaP.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამშრომლობას ევროკავშირთან მეცნიერების, ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის სფეროებში. საქმიანობა ძირითადად მიმართულია შემდეგ სოციალურ გამოწვევებზე (დარგებზე): ჯანდაცვა, კლიმატის ცვლილებები და ენერგეტიკა. პროექტი დაიწყო 01/09/2013 და დასრულდება 31/12/2016.

2016 წელს, IncoNet EaP განრიგის თანახმად, ფონდმა ორგანიზება გაუწია პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებას:

- **საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობა ევროკავშირის ქვეყნებში ორგანიზებულ ე.წ. „საშუამავლო ღონისძიებებში“ (სამეცნიერო სფეროები: კლიმატის ცვლილება, ენერგეტიკა და ჯანდაცვა)**

პროექტ IncoNet EaP ფარგლებში, „ევროკავშირის ქვეყნებში ორგანიზებულ ე.წ. „საშუამავლო ღონისძიებებსა“ (brokerage events) და სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობისთვის 2016 წლის განმავლობაში შეირჩა **ხუთი მონაწილე** და დაფინანსდა მათი მონაწილეობა აპლიკანტების მიერ მითითებულ ღონისძიებებში.

- **ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღე და სემინარი ეროვნული საკონტაქტო პირებისათვის (NCP)**

თბილისში გაიმართა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის საინფორმაციო დღე და სემინარი (სამუშაო შეხვედრა) საქართველოს მეცნიერთათვის და პროგრამის ეროვნული საკონტაქტო პირებისათვის (NCP). საინფორმაციო დღის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს მეცნიერთათვის პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით. გამოცდილების გაზიარების მიზნით, ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ ექსპერტები ევროკავშირის წვერი ქვეყნებიდან და ევროკომისიიდან.

- **მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციების მიმართულებით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რეგიონული პლატფორმის შეხვედრა**

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში გაიმართა საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც დაეთმო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რეგიონული პლატფორმის შექმნას მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციების მიმართულებით. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ უკრაინის, მოლდოვას რესპუბლიკის, ბელარუსის

ევროკავშირის ჩარჩო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

რესპუბლიკის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების ხელშეწყობის ფონდებისა და ინსტიტუციების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე განიხილეს სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შემფასებელ ექსპერტთა საერთო რეგიონული პლატფორმის მომზადებისა და ფუნქციონირების საკითხები.

ღონისძიების ფარგლებში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი ფონდებისა და ინსტიტუციების წარმომადგენლების მიერ ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლითაც წარმოდგენილი მხარეები ადასტურებენ მზაობას, მონაწილეობა მიიღონ მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სფეროს საერთო ექსპერტ-შემფასებელთა პლატფორმის შექმნაში, გააძლიერონ ამ მიმართულებით თანამშრომლობა და რეგიონისთვის ხელმისაწვდომი გახადონ მათ ქვეყნებში მიღებული სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო წინადადებების შეფასების ინსტრუმენტები და პროცედურები.

➤ **სემინარი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სისტემის (STI) პოლიტიკის ანალიზის დოკუმენტის (PMPR) რეკომენდაციების განხილვისა და სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად**

ფონდის ორგანიზებით ოზურგეთში, დაბა შეკვეთილში გაიმართა სემინარი სახელმწიფო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სისტემის განვითარებაში ჩართული სამიზნე ინსტიტუციების მონაწილეობით.

სემინარი დაეთმო საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიის და ინოვაციის სისტემის პოლიტიკის საექსპერტო ანალიზის დოკუმენტის განხილვას ('Policy Mix Peer Review of the Georgian STI system'), დოკუმენტის ცალკეული აქტუალური საკითხების შეჯამებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარსადგენად.

➤ **“ჰორიზონტი 2020“-ის კონფერენცია და ტრენინგი**

ფონდის ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია, რომელიც საქართველოს ასოცირებას ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამასთან „ჰორიზონტი 2020“ და მასში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობის გაძლიერებას მიეძღვნა. საერთაშორისო კონფერენციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯაჯელავა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პარტნიორი ინსტიტუციებისა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ტრენინგს უძღვებოდნენ ესტონეთის კვლევის საბჭოს, მოლდოვას მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო პროექტების ცენტრის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური და ტექნოლოგიური კვლევების ინსტიტუტისა და რეგიონალური და საერთაშორისო კვლევების ხელშეწყობის ცენტრის წარმომადგენლები. ღონისძიებაზე მოწვეული იყო „ჰორიზონტი 2020“-ის პროგრამებში მონაწილეობით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოება. ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებისთვის გაიმართა ინდივიდუალური კონსულტაციები.

ევროკავშირის ჩარჩო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

➤ ზამთრის სკოლა „ენერჯო ეფექტურობა. საერთაშორისო პროექტების მართვა - თეორიიდან პრაქტიკამდე“.

პროექტის სამუშაო გეგმის შესაბამისად, ქ. ვენაში გაიმართა ზამთრის სკოლა, სახელწოდებით „ენერჯო ეფექტურობა: საერთაშორისო პროექტების მართვა - თეორიიდან პრაქტიკამდე“. ზამთრის სკოლის ორგანიზატორი გახლდათ პროექტი IncoNet EaP-ის კოორდინატორი ავსტრიული ორგანიზაცია - „სოციალური ინოვაციების ცენტრი“ (ZSI).

ზამთრის სკოლის პროგრამის მიზანია, მონაწილეებმა შეისწავლონ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის მართვის ეტაპები, გაეცნონ ჰორიზონტი 2020-ის თანამშრომლობითი პროექტების სპეციფიკას და მის ფარგლებში არსებული დაფინანსების შესაძლებლობებს.

➤ Black Sea Horizon (BSH)

2015 წლის თებერვლიდან დაიწყო მუშაობა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის (Horizon 2020) ფარგლებში დაფინანსებულ პროექტზე „ევროკავშირსა და შავი ზღვის რეგიონს შორის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება“ - Black Sea Horizon, რომელშიც, ევროკავშირის და შავი ზღვის რეგიონის 18 ორგანიზაციასთან ერთად, მონაწილეობს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

პროექტის მიზანია შავი ზღვის რეგიონის სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში არსებული სიტუაციის შეფასება, პირობების მომზადება რეგიონული ერთობლივი კონკურსების ჩატარებისთვის, ერთობლივ სამეცნიერო პროექტებში მკვლევართა ჩართვისა და თანამონაწილეობის წახალისება, ინოვაციების გამოვლენა, განვითარება და ინოვაციური ტექნოლოგიების მიმართულებით თანამშრომლობის გაზრდა. პროექტი დაიწყო 01/02/2015 და დასრულდება 31/01/2018. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი - 1,499,503.75 ევრო. ფონდისათვის განსაზღვრული თანხის ოდენობა - 22 431 ევრო.

2016 წელს, BSH განრიგის თანახმად, ფონდმა ორგანიზება გაუწია პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებას:

❖ ვებინარების ჩატარება

ფონდი აქტიურად ავრცელებდა ინფორმაციას პროექტის ფარგლებში ჩატარებული ვირტუალური საინფორმაციო შეხვედრებისა და ვებინარების შესახებ, რომლის დროსაც გამოცდილი უცხოელი ექსპერტები დაინტერესებულ პირებს აწვდიდნენ ინფორმაციას პროგრამა „ჰორიზონტი 2020“ -ის ფარგლებში არსებული დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ.

❖ სამეცნიერო პროექტების შემფასებელთა ბაზაში რეგისტრაცია

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა სამეცნიერო-კვლევითი განაცხადების ექსპერტ-შემფასებელთა მონაცემთა ბაზის განსავითარებლად. მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომი იქნება მეცნიერების დამფინანსებელი ინსტიტუციებისათვის და შესაძლებელს გახდის მასში დარეგისტრირებულ ექსპერტებთან წვდომას საპროექტო წინადადებების შეფასების მიზნით.

ამჟამად შემფასებელთა მონაცემთა ბაზა ღიაა და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მასში საკუთარი მონაცემების დარეგისტრირება.

ევროკავშირის ჩარხო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტები

- ❖ საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობა ევროკავშირის ქვეყნებში ორგანიზებულ ე.წ. „საშუამავლო ღონისძიებებში“ (სამეცნიერო სფეროები: სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება; წყლის რესურსები და მათი ეფექტური მართვა; გამოყენებითი ქიმია და მაღალტექნოლოგიური მასალები (smart materials))

პროექტის BSH ფარგლებში, „ევროკავშირის ქვეყნებში ორგანიზებულ ე.წ. „საშუამავლო ღონისძიებებს“ (brokerage events) და სამეცნიერო კონფერენციებში საქართველოს მეცნიერთა მონაწილეობისთვის 2016 წლის განმავლობაში შეირჩა 1 მონაწილე და დაფინანსდა მისი მონაწილეობა შერჩეულ ღონისძიებაში.

- ❖ რეგიონებს შორის მეცნიერებისა და ინოვაციის მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ შემუშავდა 2 კონცეპტუალური დოკუმენტი.
- ❖ სემინარი - „შავი ზღვის რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მონაწილეობა ERA.NET-ისა და JPI-ს სქემებში“


ფონდის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. ბაქოში გამართულ სემინარში „შავი ზღვის რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მონაწილეობა ERA.NET-ის სქემებში“. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობაზე და გაშუქდა რეგიონის ქვეყნების ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარხო პროგრამაში H2020 არსებული თემატურ COFUND ERA.NET-ის და JPI-ს (Joint Programming Initiatives) კონკურსებში მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

- პროექტების საერთო ბიუჯეტი - 19 666 ლ.
- 2016 წლის ბიუჯეტი - 19 666 ლ.
- მონაწილე მოსწავლეების რაოდენობა - 95
- დარეგისტრირდა - 42 პროექტი
- გაიმარჯვა - 4 პროექტმა:
ერთი გრანპრი - მოგზაურობა უცხოეთში
3 საპრიზო ადგილი (I, II, III) - 10 000 ლ.
- განხორციელების პერიოდი - 04.02.2016-11.11.2016.


გამარჯვებული პროექტების განაწილება მიმართულებების მიხედვით




გამარჯვებული პროექტები სკოლების მიხედვით



გამარჯვებული მოსწავლეების განაწილება კლასის მიხედვით



გამარჯვებულების განაწილება გენდერის მიხედვით




შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევი ტურები


პროგრამის მიზანია ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

- დარეგისტრირებული მოსწავლეების რაოდენობა - 80
- შესარჩევი ტურების შედეგად ნაკრები გუნდების წევრების რაოდენობა - 23
- გამარჯვებული მოსწავლეების რაოდენობა - 11
- 2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი - 202 483 ლ.
- პროგრამის განხორციელების პერიოდი - 18.03.2016-19.08.2016

სამეცნიერო მიმართულებები




გამარჯვებულები კლასის მიხედვით




საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევი ტურების შედეგების საფუძველზე დაკომპლექტდა საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ქიმიის მიმართულებებში. ნაკრები გუნდები 2016 წელს წარსდგნენ საერთაშორისო ფიზიკის (ციურიხი), მათემატიკის (ჰონგ-კონგი), ქიმიისა (საქართველო) და ინფორმატიკის (ყაზანი) ოლიმპიადებზე. საერთაშორისო ოლიმპიადის ნაკრები გუნდის წევრები დაბრუნდნენ სხვადასხვა ჯილდოებით:

გამარჯვებულების განაწილება გენდერის მიხედვით



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრირებით 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევი ტურები

გამარჯვებული მოსწავლეები სკოლების მიხედვით



გამარჯვებული გუნდების მიერ მოპოვებული ჯილდოები

